



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მ ი ნ ი ს ტ რ ი



KA100172499993215

თბილისი

06 / მარტი / 2015 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01/243

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს
საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2015 წლის 6 მარტის სხდომაზე
მიღებული გადაწყვეტილებების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N412 დადგენილების, „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 ოქტომბრის N01/779 ბრძანების თანახმად და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს უფროსის ნ. ფერადის 2015 წლის 6 მარტის N2575 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2015 წლის 6 მარტის სხდომაზე (ოქმი N1) მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებები:

ა) გამოცხადდეს კონკურსი სამინისტროს ცენტრალური აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე (ოქმის დანართი N1-ის შესაბამისად) და სსიპ - საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე;

ბ) კონკურსი ჩატარდეს ორ ეტაპად (პირველი ეტაპი - განცხადებების გადარჩევა, მე-2 ეტაპი - გასაუბრება);

გ) კანდიდატთა განაცხადების მიღების ვადად განისაზღვროს 2015 წლის 9-18 მარტი;

დ) საკონკურსო განცხადებების თანამდებობებისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემდგომ, კონკურსანტთა გასაუბრების გრაფიკი განისაზღვროს არაუადრეს 2015 წლის 20 მარტისა;

ე) კონკურსში მონაწილეთა შეფასების ფორმა განისაზღვროს ოქმის დანართი N2-ის შესაბამისად.

2. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნომ უზრუნველყოს:

ა) კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის მეშვეობით;

ბ) კანდიდატების მიერ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით გაკეთებული განცხადებების გადარჩევა (პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და სავალდებულო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემოწმება) და კომისიისთვის წარდგენა

3. სამინისტროს აპარატმა (საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოსთან ერთად) უზრუნველყოს სამინისტროს ვებ-გვერდზე კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით შესაბამისი ინფორმაციის განთავსება.
4. სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების თანამშრომლებისათვის გაცნობა.
5. ბრძანება ძალაშია 2015 წლის 6 მარტიდან.

მინისტრი



ლევან ყიფიანი